დოკ. №: 2108-241

თარიღი: 19.08.2021

DEMASO WOOD

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	***ს/კ***	***მესაკუთრე***	***ფართობი***
თბილისი, ქუჩა ლაღიძე, N12	*01.15.04.005.026*	*5 თანამესაკუთრე*	*3031 მ²*

შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა: ***13***

დამკვეთი:

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით	*1*
მცენარეთა მდგომარეობა	*2*
გადარგვის შესაძლებლობა	*2*
დასკვნა	*2*

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ (405086419)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, ლაღიძის ქუჩის N12 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.15.04.005.026 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 1 დეკემბრის №594 კანონის შესაბამისად.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს თანასაკუთრებას. მისი ფართობია 3031 მ^2.

ტერიტორიას გააჩნია შემდეგი ზონალური კუთვნილება:

- *ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება:* ცენტრალური ზონა (ცზ) და გეგმარებითი კარკასი (გკ)
- *ფუნქციური ზონირება:* საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), დაახლოებით 76 მ^2 - შიდაკვარტალური გამწვანება
- *შეზღუდვის ზონირება:* 1. ჯიხურების აკრძალვა (6 კვმ-მდე ნაგებობის განთავსების შეზღუდვა); 2. ისტორიული განაშენიანება

ჩატარებული სამუშაო

2021 წლის 18 აგვისტოს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.15.04.005.026 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა თითოეული მცენარის დასურათება.

სულ, შეფასდა 13 მერქნიანი მცენარე, რომელთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 1). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით

აღწერილი 13 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- **7 ინდივიდი – ხილკენკროვანი სახეობები**
  - 3 ლეღვი (Ficus carica) NN 9, 10, 11
  - 4 ვაზი (Vitis vinifera) NN 1, 2, 6, 8
- **6 ინდივიდი (1 ხმობადი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 1 ხემყრალი (Ailanthus altissima) N 12
  - 1 თუთა (Morus sp.) N 5
  - 1 აღმოსავლური ჭადარი (Platanus orientalis) N 13
  - 2 კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica) NN 3, 4 (ფაუტი)
  - 1 მარაოსებრი პალმა (Trachycarpus fortunei) N 7

მცენარეთა მდგომარეობა

შეფასებული 13 მცენარიდან 12 არის ჯანსაღი, ხოლო 1 ძირი ცაცხვი (Tilia caucasica) N4 - ავარიული ფაუტი.

აღნიშნულ ავარიულ ცაცხვს (N4) გააჩნია სრულიად ფუტურო შტამბი, აქვს დიდი ფუღურო ფესვის ყელთან, ასევე, ღეროს გასწვრივ დაახლოებით 3 მეტრ სიგრძეზე გასდევს ღიობი, რაც კიდევ უფრო ამცირებს მის მდგრადობას. იხილეთ ფოტოები.

მოსალოდნელია აღნიშნული მცენარის ღეროს დაზიანების გაღრმავება. შესაბამისად, არსებობს მისი წაქცევის მზარდი რისკი, რაც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს ადამიანთა ჯანმრთელობისთვის და ქონებისთვის.

გადარგვის შესაძლებლობა

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) შეიძლება დაექვემდებაროს 5 არახილკენკროვანი ინდივიდი: NN 3, 5, 7, 12, 13.

მათგან, 1 მცენარის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები, ხოლო 4 მცენარე არის დიდტანიანი (ღეროს დიამეტრით 25 სმ-ზე მეტი). იხილეთ ცხრილი 1.

ცხრილი 1. *გადარგვადი მცენარეების ნომრები და რაოდენობები სახეობების მიხედვით.*

N	სახეობა	რაოდ.	მცენარეთა ნომრები
25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მცენარეები (1 ძირი)			
1	მარაოსებრი პალმა (Trachycarpus fortunei)	1	7
დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) მცენარეები (4 ძირი)			
1	ხემყრალი (Ailanthus altissima)	1	12
2	თუთა (Morus sp.)	1	5
3	აღმოსავლური ჭადარი (Platanus orientalis)	1	13
4	კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica)	1	3

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2021 წლის 18 აგვისტოს, ქ. თბილისში, ლაღიძის ქუჩის N12 მისამართზე რეგისტრირებულ, 5 კომპანიის საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.15.04.005.026 მიწის ნაკვეთზე, 13 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 13 მერქნიანი მცენარიდან 12 არის ჯანსაღი, 1 - ხმობადი. მათ შორის:
- 7 ხილკენკროვანი (ყველა ჯანსაღი)
- 6 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (1 ხმობადი)

2. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 1 არაჯანსაღი (ფაუტი, ავარიული) მცენარე, კერძოდ:
- 1 ცაცხვი (Tilia caucasica) N4

3. ჭრის რეკომენდაცია. აუცილებელია N4 ავარიული ცაცხვის მოჭრა, რადგან, წაქცევის მაღალი რისკის გამო, საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას. ინფო იხ. ზემოთ.

4. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 5 არახილკენკროვანი მცენარე - NN 3, 5, 7, 12, 13. მათგან, **25 სმ-ზე მეტი დიამეტრის არის 4 ინდივიდი:** ხემყრალი (Ailanthus altissima) N12, თუთა (Morus sp.) N5, ჭადარი (Platanus orientalis) N13, ცაცხვი (Tilia caucasica) N3.

მეტი დეტალისთვის იხილეთ: შეფასების უწყისი; ფოტოდოკუმენტაცია; დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში წინამდებარე დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (01008013049)

№2108-241 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.15.04.005.026

მისამართი:	თბილისი, ქუჩა ლაღიძე, N12
საკადასტრო კოდი:	01.15.04.005.026
ფართობი:	3031 მ^2
მესაკუთრე:	შპს “სამედიცინო ტექნიკისა და ტექნოლოგიების ცენტრი” (ID № 203842592), შპს “საქმედტექნიკა” (ID № 204486662), შპს “ ნიუ ჰაუსი” (ID №202464948), შპს “მედუნივერდალი” (ID №203824530), შპს “მედსერვისი 2” (ID №203824745)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	18 აგვისტო, 2021
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ვაზი (Vitis vinifera)	3.8		0	საღი/ ხილკენკრ.
2	ვაზი - ტალავერი (Vitis vinifera)	3.2		0	საღი/ ხილკენკრ.
3	ცაცხვი (Tilia caucasica)	35	30	8.5	საღი/ გადარგვადი
4	ცაცხვი (Tilia caucasica)	54	48	8.5	ფაუტი/ ავარიული
5	თუთა (Morus sp.)	30	20.7	5	საღი/ გადარგვადი
6	ვაზი (Vitis vinifera)	5.4		0	საღი/ ხილკენკრ.
7	პალმა (Trachycarpus fortunei)	1.6		1	საღი/ გადარგვადი
8	ვაზი (Vitis vinifera)	2.5		0	საღი/ ხილკენკრ.
9	ლეღვი (Ficus carica)	54	29	9.5	საღი/ მრავალღეროიანი/ ხილკენკრ.
10	ლეღვი (Ficus carica)	51	32	9.5	საღი/ ხილკენკრ.
11	ლეღვი (Ficus carica)	35	25.5	8.5	საღი/ ხილკენკრ.
12	ხემყრალი (Ailanthus altissima)	57	49	12.5	საღი/ გადარგვადი
13	ჭადარი (Platanus orientalis)	35	25.5	8.5	საღი/ გადარგვადი

ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ*

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია - ნაკვ. 01.15.04.005.026






























7




9




10




11




12




13

